ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 102 (2465) ◉ სამშაბათი, 26 მაისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

# ნ. ს. ხრუშჩოვის დაბრუნება მოსკოვში

25 მაისს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი.

ვნუკოვოს აეროდრომი მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

თვითმფრინავის მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე აეროდრომზე მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ლ. ნ. ეფრემოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ა. ნ. შელეპინი და სხვ.

აეროდრომზე იყვნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ჟურნალისტები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს შეხვდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ა. ვ. ხ. დაუდი.

როცა საჰაერო ლაინერი „ილ-18“ აეროვოგზლის შენობასთან გაჩერდა და კიბეზე გამოჩნდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, გაისმა მქუხარე ტაში.

კვლავ გაიმართა ოვაცია, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი მივიდა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებთან. ისინი მქუხარე ტაშს უკრავენ, ულოცავენ ნიკიტა სერგის-ძეს სამშობლოში დაბრუნებას.

# ოქტომბრის დარბაზში

## მუშაობა დაამთავრა პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა II საკავშირო კონფერენციამ

მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა II საკავშირო კონფერენცია.

კონფერენციის პირველ დღეს მოხსენებით განვლილი ორი წლის მანძილზე პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა მუშაობის შესახებ გამოვიდა გ. ელისეევი.

სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ლ. კრიუჩკოვმა.

პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სახელით კონფერენციის მონაწილეებს პროფსაბჭოს მდივანმა ნ. რომანოვმა გააცნო პროფკავშირების პრეზიდიუმის მისალმების ტექსტი.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ დელეგატებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

კონფერენციამ აირჩია პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭო 105 კაცის შემადგენლობით.

შედგა პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა კავშირის საბჭოს საორგანიზაციო პლენუმი. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 17 კაცის შემადგენლობით. პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ი. ელისეევი, თავმჯდომარის მოადგილეებად — ნ. ი. ხრომოვი და ლ. მ. სვირიდოვი.

# შვედები ჩამოვიდნენ

მოსკოვი, 25 მაისი. (ტელეფონით). ევროპის თასზე საპასუხო მატჩის ჩასატარებლად დღეს აქ ჩამოვიდა შვეციის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები, რომელიც 27 მაისს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შეხვდება სსრ კავშირის გუნდს.

სტუმრების მწვრთნელმა ლ. ნიმანმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ უკანასკნელ დღეებში მიღებული ტრავმის გამო მოსკოვში ვერ ჩამოვიდნენ გუნდის კაპიტანი და დაცვის ბურჯი ა. იუჰანსონი, მეკარე ბ. ნიჰოლმი და პ. იუჰანსონი. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ მისი გუნდი მეორე მეოთხედფინალურ მატჩში წარმატებას მიაღწევს, თუ 27 მაისს მოსკოვში მშრალი ამინდი იქნა.

შვედებივარაუდობენ ფრედ დაამთავრონ ეს მატჩიც და საბჭოთა ფეხბურთელებს გადამწყვეტ თამაშში შეხვდნენ 29 მაისს, ჰელსინკში.

ლ. ნიმანმა განაცხადა, რომ მისი გუნდის ცნობილი მარჯვენა გარემარბი კ. ჰამრინი მცირეოდენი მოგვიანებით ჩამოვა მოსკოვში და მონაწილეობას მიიღებს თამაშში.

შვედების გუნდს თან ჩამოჰყვა 20 კორესპონდენტი და მიმომხილველი, რომლებიც დაესწრნენ თავიანთი გუნდის წვრთნას ლუჟნიკის სტადიონზე.

# 11 ტური დაუმარცხებლად!

## დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი

სოხუმი, 25 მაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ სოხუმის გორკის სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დასკვნითი, XI ტური.

დიდხანს გაგრძელდა ასენოვა — გაფრინდაშვილის შეხვედრა. მსოფლიო ჩემპიონი ცდილობდა გამოეყენებინა თავისი მცირე პოზიციური უპირატესობა, მაგრამ ბულგარელი მოჭადრაკე შეუპოვრად იცავდა თავს და 5-საათიანი თამაშის შემდეგ ამ პარტიაში ფიქსირებული იქნა ყაიმი.

ასეთივე შედეგით დასრულდა ტეოდორესკუ — რანიკუსა და ჩაიკოვსკაია — ბუცხრიკიძის პარტიები.

ბელავენეცმა ცხარე ბრძოლა გაუჩაღა კელერ-გერმანს. გერმანელი ოსტატი ცაიტნოტში, როგორც წესი, ვერ თამაშობდა ზუსტად, რითაც კარგად ისარგებლა მოსკოველმა და გაიმარჯვა.

კარაკაშ — ალექსანდრიას შეხვედრაში შავებმა ლაზიერების გაცვლის შემდეგ ნაჩქარევად წამოიწყეს თამაში ცენტრში. კარაკაშმა ღრმად ჩაფიქრებული კომბინაციური გაგრძელებით ხარისხი მოიგო, რამაც გადაწყვიტა პარტიის ბედი: 33-ე სვლაზე ალექსანდრია დანებდა.

მწვავედ მიმდინარეობდა ნედელკოვიჩ — ბიკოვას შეხვედრა, რომელიც ამ დღეს არ დამთავრებულა. იგი დღეს დილით გაგრძელდა. გაიმარჯვა ნედელკოვიჩმა.

ამრიგად, დამთავრდა ეს ტრადიციული ტურნირი. პირველი ადგილი დაიკავა ნ. გაფრინდაშვილმა (10 ქულა), რომელმაც დაუმარცხებლად ჩაატარა მთელი გათამაშება. მეორე ადგილზეა ა. ჩაიკოვსკაია — 7 ქულა, მესამეზე — მ. რანიკუ — 6,5 ქულა.

მომდევნო ადგილებზე არიან: ე. კარაკაში (უნგრეთი), ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია) — 6-6 ქულა თვითეულს, ლ. ბელავენეცი — 5,5 ქულა, ე. კელერ-გერმანი (გდრ), გ. ბუცხრიკიძე — 5-5 ქულა თვითეულს, მ. ტეოდორესკუ (რუმინეთი), ნ. ალექსანდრია — 4,5-4,5 ქულა თვითეულს, ვ. ასენოვა (ბულგარეთი) — 4 ქულა, ე. ბიკოვა — 2 ქულა.

დღეს საღამოს გაიმართა ტურნირის საზეიმო დახურვა. სხდომა გახსნა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გვარამიამ. შეჯიბრების შედეგებზე სიტყვით გამოვიდა მთავარი მსაჯი ლ. წეროძე.

აფხაზეთის საჭადრაკო სექციის თავმჯდომარემ რ. კაკიაშვილმა დამსწრეებს მოუთხრო ტურნირზე დაწესებულ სპეციალურ ჯილდოებზე. ნ. გაფრინდაშვილს გადაეცა 3 სპეციალური ჯილდო — ტურნირის საუკეთესო პარტიისათვის (კელერ-გერმანთან), ყველაზე მეტი მოგებისათვის (9), საბჭოთა მოჭადრაკეთაგან უცხოელებთან შეხვედრებში საუკეთესო შედეგისთვის (4,5 ქულა 5-დან); ე. კარაკაშს, როგორც უცხოელს — საბჭოთა მოჭადრაკეებთან საუკეთესო შედეგისათვის, ლ. ბელავენეცს — პირველთანრიგოსან მოჭადრაკეს ოსტატებთან საუკეთესო შედეგისათვის (4,5 ქულა 9-დან). დანარჩენ მონაწილეებს სოხუმის სხვადასხვა ორგანიზაციებმა გადასცეს სამახსოვრო ხაჩუქრები. სოხუმის თამბაქოს ფაბრიკამ სპეციალური თამბაქოს კომპლექტი გადასცა ტურნირის მონაწილეთა შორის თამბაქოს ერთადერთ მწეველს — ნედელკოვიჩს.

საბჭოთა მონაწილეების სახელით სიტყვით გამოვიდა ნ. გაფრინდაშვილი, ხოლო უცხოელ მოჭადრაკეთაგან — ვ. ნედელკოვიჩი.

თ. გიორგაძე

# უკანასკნელი საათი...

ბუდაპეშტი. ევროპის უძლიერეს თანამედროვე ხუთჭიდელთა ასპარეზობაზე პროგრამის პირველ სახეობაში — ცხენოსნობაში წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ისინი მხოლოდ IX ადგილზე არიან. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს უნგრეთის II კოლექტივი.

ტან-ცინი. გუშინ საბჭოთა ფრენბურთელებმა მორიგი შეხვედრები გამართეს ჩინელ სპორტსმენებთან. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შეხვედრებში, რომლებიც დამთავრდა ჩვენი ფრენბურთელების გამარჯვებით, ფიქსირებულ იქნა ერთნაირი ანგარიში — 3:1.

ბრანზე. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფებიან როსტოვის არმიელი ფეხბურთელები. აქ მათ ფრედ (0:0) ითამაშეს ბერლინის „ფორვერტსთან“, რომელიც გდრ-ის ჩემპიონატში მე-5 ადგილზე იმყოფება. როსტოველები კიდევ ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ.

ჰააგა. აქ ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი ციგურებით ფიგურულ ხრიალში ჰოლანდიელი დიიკსტრა აღარ გამოვა მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობებზე. მან ხელი მოაწერა ერთ-ერთი ამერიკული პროფესიული კლუბის კონტრაქტზე და გადაბარგდა პროფესიონალთა რიგებში.

# ბრინჯაოს მედლები

## უძლიერეს წყალბურთელთა ასპარეზობა დამთავრდა

მოსკოვი, 25 მაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). წყალბურთელთა საკავშირო პირველობის არც ერთ გათამაშებაში არ შექმნილა ისეთი რთული ვითარება, როგორც ეს ბოლო ტურის წინ იყო. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების დასაკუთრების შანსებს ხუთი კოლექტივი (მეზღვაურთა ცენტრალური საწყლოსნო - სპორტკლუბი, მოსკოვის უნივერსიტეტი, თბილისის „დინამო“, ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილია და მოსკოვის „დინამო“) ინარჩუნებდა. რაც შეეხება დედაქალაქის „ტორპედოს“, მას 12 ქულით უკვე ადრევე ჰქონდა განაღდებული VI ადგილი. სამი მატჩის (მოსკოვის „დინამო“ — უნივერსიტეტი, მეზღვაურთა ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი—„ტორპედო“, თბილისის „დინამო“ — ბაქოს გუნდი) შედეგებზე იყო დამოკიდებული საპრიზო ადგილების განაწილების საკითხი.

სათამაშოდ პირველნი გამოვიდნენ მოსკოველები — „დინამო“ და უნივერსიტეტი. თუ დინამოელები III საპრიზო ადგილს უმიზნებდნენ, სტუდენტებს უფრო დიდი გეგმები ჰქონდათ — ჩემპიონობის ტიტულის ან უარეს შემთხვევაში, ვიცე-ჩემპიონის სახელის დასაკუთრება!

პირველ პერიოდს შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, ძალზე უხვმოსავლიანი გამოდგა მომდევნო 5 წუთი. ჯერ იყო და, სტუდენტებმა ანგარიში გახსნეს. შემდეგ „დინამომ“ არა მარტო აღადგინა წონასწორობა, არამედ 2 ბურთით გავიდა წინ. სტუდენტებმა იგრძნეს მარცხის საშიშროება, მთელი ძალით ამოქმედდნენ და დასკვნითი პერიოდის წინ ანგარიში გათანაბრდა — 3:3.

ბოლო 5 წუთი „დინამოსთვის“ დრამატული გამოდგა — იგი დამარცხდა — 4:5.

ახლა სტუდენტებს უკვე შეეძლოთ ოქროს მედლებზე ოცნება. თუ კი მოსკოველი მეზღვაურები „ტ ო რ პ ე დ ო ს თ ა ნ“ მატჩს ფრედ დაამთავრებდნენ, მაშინ დაინიშნებოდა გადამწყვეტი შეხვედრა უნივერსიტეტელთა და მეზღვაურთა გუნდებს შორის, რომელიც, ვინ იცის, როგორ შეატრიალებდა საქმეს. მაგრამ მეზღვაურები იოლად გაუმკლავდნენ მეტოქეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ამრიგად, გაირკვა I-II ადგილების ბედი. დარჩა ერთადერთი ვაკანტური ადგილი — მესამე. ბრინჯაოს მედლებისთვის დავა ერთმანეთში უნდა გადაეწყვიტათ თბილისისა და ბაქოს წყალბურთელებს. ჩვენებს ბურთების ბალანსის წყალობით სატურნირო ცხრილში უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ და მათ ფრეც ძლევდა ხელს — იგი



ბრინჯაოს მედლებს ნიშნავდა.

თამაში უაღრესად დაძაბულად ჩატარდა.

პირველ პერიოდში ანგარიში არ გახსნილა. ერთწუთიანი შესვენების შემდეგ თბილისელებმა მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, მიმინოშვილმა მძლავრად ტყორცნა ბურთი ბაქოელთა კარში, რომელიც მეკარემ უკუაგდო პირდაპირ რომანოვზე. ამ უკანასკნელმა ბურთს დაუყოვნებლივ „მოუძებნა“ ზუსტი მისამართი — 1:0.

მაგრამ სულ მალე თამაშის წესის დარღვევისთვის წიკლაური აუზიდან გააძევეს, რითაც კარგად ისარგებლა მეტოქემ და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მატჩი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, რომ ბაქოელთა მოულოდნელი შეტევა თბილისელთა კარის აღებით დამთავრდა. მაგრამ მატჩის უკანასკნელ წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულ ჩხიკვაძეს უხეშად მოექცნენ. „დაზარალებულმა“ ზუსტად განახორციელა 4-მეტრიანი საჯარიმო და ამ მძიმე მატჩს წერტილი დაუსვა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ამრიგად, შევსო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა ამ მარათონული გათამაშების ცხრილის ყველა უჯრედი. პირველ ადგილზეა მეზღვაურთა ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — 27 ქულა, მეორე ადგილს დაეპატრონა მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი — 26, მესამეს — თბილისის „დინამო“ — 21. შემდეგ ადგილებზე არიან ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდი (21), მოსკოვის „დინამო“ (19), მოსკოვის „ტორპედო“ (12).

ზ. ჯაფარიძე

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდი. პირველ რიგში — (მარცხნიდან) ვ. რომანოვი, გ. ჩიქვანაია, გუნდის მწვრთნელი ნ. გვახარია, ვ. სანაძე, ი. ჩხიკვაძე, ზ. ლომიძე; მეორე რიგში — გ. მიმინოშვილი, ლ. გოგოლაძე, ჯ. წიკლაური, ბ. მარგიევი, ბ. მეგედი.

# სტუდენტთა თამაშები





**მძლეოსნობა.** შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული. საამისოდ ყველაფერი გააკეთეს „ბურევესტნიკის“ სტადიონის დირექციამ და მსაჯთა კოლეგიამ. არც სპორტსმენთა მნიშვნელოვან ნაწილს შეურცხვენია თავი. ნაჩვენები იქნა ოსტატის 2 და პირველი თანრიგის 17 შედეგი. განსაკუთრებით კარგად იყვნენ მომზადებული რ. ქვაჩაკიძე, ლ. იევლევა (ორივენი უნივერსიტეტიდან), თ. როჟმანოვა (სკიფი). თვითეულმა მათგანმა 2-3 სახეობაში სცადა ძალები და ყველგან ოსტატის ან I თანრიგის შედეგით გაიმარჯვა.

იყო დამაფიქრებელი ფაქტებიც. ქერძოდ, პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებანი არ ჩატარდა ქალთა შორის 100 მ თარჯრბენში და ვაჟთა შორის — 10.000 მ რბენაში.

მთელ რიგ სახეობებში სპორტსმენთა ნაწილი იმდენად მოუმზადებელი იყო, რომ ერთი ქულაც ვერ მისცა თავის გუნდს. 5.000 მ რბენაში ამაოდ დაშვრა ქუთაისელი ბ. ქობულაძე (პედინსტიტუტი), ვაჟთა შორის 200 მეტრზე რბენაში — რ. პატარაია (თბილისის პედინსტიტუტი) და ი. ანდრიაძე (უცხო ენათა ინსტ.), 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ი. ვეზდენი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) და სხვ. მაგრამ ისინი ჩასათვლელ, III თანრიგთან ახლოს მაინც იყვნენ. სამაგიეროდ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ვაჟთა ბადროს ტყორცნაში უკანასკნელ ადგილზე გამოსული რ. კარბელაშვილის (24.60 მ), ქალთა შორის 200 მ რბენაში ლ. კოვალიოვას (34,5), ქალთა ბადროს ტყორცნაში ლ. წურწუმიას—15.25 მ (სამივენი — უცხო ენათა ინსტ.) — შედეგები.

კოლექტივებიდან ყველაზე კარგად იყვნენ მომზადებული უნივერსიტეტის, ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდები. სამდღიანი ბრძოლის შედეგად საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილებიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის მძლეოსნების კარგი მომზადება. მათ პროგრამის 31 სახეობიდან 16 პირველი, 7 მეორე და 3 მესამე ადგილი მოიპოვეს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს 8 პირველი, 10 მეორე და 6 მესამე ადგილი. ამრიგად, სტუდენტთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივებმა.

მეორე და მესამე დღის ტექნიკური შედეგები: **ქალები** რბენა 200 მ — ნ. გაბეხაძე (თსუ) 26,5, ბადროს ტყორცნა — ქ. კ ა ხ ი შ ვ ი ლ ი (სკიფი) 41,30 მ, შუბის ტყორცნა — ლ. სტუკოვა (სკიფი) 42,42 მ, ხუთჭიდი — თ. როჟმანოვა (სკიფი) 4.181 ქ. **ვაჟები.** რბენა 200 მ—ა. დავითაია (თსუ) 23,0, 400 მ — ზ. დოლიძე (თსუ) — 51,1, 800 მ — ზ. დოლიძე 2.02,0, 1.500 მ — ვ. რუკინი (თსუ) 4.04,8, 5.000 მ — ი. მიხაილჩენკო (სკიფი) 15.28,4, 3.000 მ წინაღობებით — ვ. რუკინი (თსუ) 9.23,6, 200 მ თარჯრბენი—გ. დუმბაძე (თსუ) 25,9, 400 მ თარჯრბენი — ო. კობჩიკი (სკიფი) 55,4, ერთსაათიანი სპორტული სიარული — ა. ფედოროვი (სკიფი) 11.588 მ 29 სმ, ტყორცნები: ბადრო — ო. ზუხბაია (პოლიტექნ. ინსტ.) 45,51 მ, შუბი — ნ. მგელაძე (პოლიტექნ. ინსტ.) 65,40 მ, ურო — ო. ართილაყვა (სასოფლო-სამეურნეო ინსტ.) 53,39 მ. ხტომები. ჭოკით — ვ. ჩიტაიშვილი (თსუ) 3,90 მ, სამხტომი — რ. ქვაჩაკიძე (თსუ) 15,15 მ, ათჭიდი — ი. ჩირიკაშვილი (ქუთაისის პედინსტიტუტი) — 5.224 ქულა.

□



**ფარიკაობა.** შეჯიბრების მეორე ეტაპი დაეთმო რაპირისტ ქალებს. 16 სპორტსმენიდან, რომლებიც სამ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი, ფინალში გავიდა ცხრა: სვანიძე, ზამბახიძე, ბექანიშვილი, შენგელია (სპი), შეყრილაძე, ერისთავი (თსუ), შირინა (თბილისის პედინსტიტუტი), შერიზადიშვილი (ცხინვალის პედინსტიტუტი), მაისურაძე (ქუთაისის პედინსტიტუტი).

ჩემპიონის გამოვლენას დამატებითი ბრძოლის ჩატარება დაჭირდა. მ. სვანიძესა და ლ. შეყრილაძეს აღმოაჩნდათ მოგებათა თანაბარი რაოდენობა (6-6). ამასთან შეყრილაძემ წააგო შერიზადიშვილთან და ბექანიშვილთან, ხოლო სვანიძემ — შეყრილაძესთან და ერისთავთან (ერთნაირი ანგარიშით — 2:4).

დამატებით ორთაბრძოლას არ მოჰყოლია სიახლე თვით ანგარიშშიც კი. შეყრილაძემ ჩხვლეტათა „ტრადიციული“ შეფარდებით (4:2) დაამარცხა მეტოქე და პირველი ადგილი გაინაღდა. სვანიძეს 1 ქულით ჩამორჩა ნ. ერისთავი (5 მოგება) და მესამე ადგილზე დარჩა.

გუნდურ ასპარეზობაში ფინალის სამივე შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარა უნივერსიტეტის კოლექტივმა. მეორე ადგილზეა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მესამეზე — ცხინვალის პედინსტიტუტი.

გუშინ დამთავრდა რაპირისტ ვაჟთა პირად-გუნდური პირველობაც. მოულოდნელი დამარცხებები განიცადა მსოფლიოს ჩემპიონმა იუნიორთა შორის გ. ანდრიაძემ (სამედიცინო ინსტიტუტი) და მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. გამარჯვებული აქაც დამატებითი ორთაბრძოლის შემდეგ გაირკვა თ. ზაუტაშვილსა (თსუ) და რ. დევიძეს (სპი) შორის. ზაუტაშვილმა დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 5:2.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა.

□



**ხელბურთი.** უკვე დამთავრდა შეჯიბრება ვაჟთა გუნდების ქვეჯგუფებში. პირველ ქვეჯგუფში ყველას აჯობა უნივერსიტეტის კოლექტივმა, ხოლო პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა დაიკავა მეორე ადგილი. ამგვარად, ეს ორი გუნდი გავიდა ფინალურ ჯგუფში.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ამ კოლექტივების მატჩზე (გაიმარჯვა უნივერსიტეტმა — 23:22). საქმე იმაშია, რომ შეჯიბრებათა ჩატარების პრაქტიკაში მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა. მთელი შეხვედრის მანძილზე გუნდების წარმომადგენლები საშუალებას არ აძლევდნენ მსაჯთა კოლეგიას ნორმალურად წარემართა მატჩი. ორივე გუნდში იყვნენ „ბურევესტნიკის“ ნაკრების წევრები ჯ. ბაგრატიონი, გ. მაჭავარიანი, ჯ. ცერცვაძე, თ. ზარდალიშვილი და სხვ. სწორედ ამ ოთხმა მოთამაშემ თავისი უმსგავსო საქციელით (რაც გამოიხატა მსაჯის შეურაცხყოფითა და უპატივცემლობით) იძულებული გახადა არბიტრი ძაგანია, მიეტოვებინა თამაში (?!). იგი შეცვალა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ი. პარლაგაშვილმა, შეიცვალნენ აგრეთვე გვერდითი მსაჯებიც. ამ უკანასკნელებმაც სათანადოდ ვერ გაართვეს თავი მოვალეობას და მატჩიც რის ვაივაგლახით მიიწურა.

ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე იმსჯელა სპარტაკიადის მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრდება — ზემოაღნიშნულ საქციელზე, თავის მხრივ, იმსჯელებენ „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი, აგრეთვე ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეჯიბრებას ემსახურება მსაჯთა ძალზე მცირერიცხოვანი და, ამასთან ერთად, დაბალი კვალიფიკაციის შემადგენლობა. საერთოდ, ხელბურთში ძალიან ცოტა მსაჯი გვყავს. საჭიროა ფედერაციის ახლად არჩეულმა შემადგენლობამ ამთავითვე იზრუნოს შექმნილი, ყოვლად არანორმალური მდგომარეობის გამოსწორებისთვის, დასახოს ქმედითი ღონისძიება მსაჯთა მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

მეორე ქვეჯგუფიდან ფინალში გავიდნენ უცხო ენათა (ყველა თამაშის მოგებით) და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კოლექტივები (ეს უკანასკნელი დამარცხდა პირველთან — 24:28).

გუშინ შედგა ერთი მატჩი ფინალურ ჯგუფში. უნივერსიტეტელებმა დაამარცხეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენები (26:25).

ქალთა გუნდების ასპარეზობა, რომელიც წრიული სისტემით მიმდინარეობს, შუა ფაზაში შევიდა. აქ დაუმარცხებლად და სამი გამარჯვებით ლიდერობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი.

□



**ცურვა.** შეჯიბრების უკანასკნელი დღის პროგრამა 40 წუთში ამოიწურა. საქმე იმაშია, რომ მთელ რიგ სახეობებში ვერავინ შეძლო მონაწილეთა გამოყვანა.

ამ დღეს თამაშების ჩემპიონი გამოვლინდა 200 მ ზურგზე ცურვაში ვაჟთა შორის. აქ პირველი იყო ე. ხიმჩიანი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 2.40,0. ამანათცურვა 4X100 მ თავისუფალი სტილით მოიგეს სკიფ-ის ქალებმა. ვაჟთა ამანათცურვაში 4X200 მ უძლიერესი იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

საბოლოოდ საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 12.865 ქულა, 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 12.58 ქულა, 3. სამედიცინო ინსტიტუტი — 5.410 ქულა.

□



**ძალოსნობა.** შეჯიბრების მეორე და მესამე დღეს სურათი არ შეცვლილა: პირველობას ძირითადად თბილისელები ეცილებოდნენ ერთმანეთს. თუ შეჯიბრების პირველ დღეს ბათუმელთა შორის თამაშების ერთი ჩემპიონი გახდა და წარმატებით დაწყებული საქმიდან ასეთსავე დასასრულს ველოდით, ერთმა უსიამოვნო ინციდენტმა მთლიანად წყალში გადაყარა გუნდისგან მიღებული საერთო კარგი შთაბეჭდილება: ქვემძიმე წონის შტანგისტთა განაცხადში იყო ვ. ჯინჭარაძე, ფიცარნაგზე კი ვერ დადგინდა სპორტსმენის გვარი, რომელიც ასპარეზობაში ჩაბმას აპირებდა. ეს უმგვანო საქციელი უმკაცრესი გაკიცხვის ღირსია და სათანადო ორგანოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

შედეგების შესახებ უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა უმრავლესობამ მეორე თანრიგი უჩვენა, ხოლო სპორტის ოსტატის ნორმატივზე ლაპარაკიც ზედმეტია (მონაწილეობდა კი 5 სპორტის ოსტატი).

სტუდენტთა თამაშების ჩემპიონები გახდნენ: მსუბუქ წონაში — გ. კამალოვი (უნივერსიტეტი) — 337,5 კგ., ქვესაშუალო წონაში — ვ. სვინჩენკო (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 377,5 კგ., საშუალო წონაში — ნ. ზუბიტაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 370 კგ., ქვემძიმე წონაში — დ. შავოშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 382,5 კგ., მძიმე წონაში —ვ. ციხელაშვილი (უნივერსიტეტი) — 367,5 კგ; ზემძიმე წონაში—ა. ხველელიძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი)—405 კგ.

გუნდურ საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ — 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 21 ქულა, 2. უნივერსიტეტი — 28 ქულა, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 31 ქულა.



**ფრენბურთი.** დამთავრდა წინასწარი თამაშები ქვეჯგუფებში. სპარტაკიადის ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლის უფლება ქალთა შორის მოიპოვეს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების — უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივებმა. ვაჟთა შორის ეს უფლება მოიპოვეს გორის პედაგოგიური ინსტიტუტისა და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების (უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები) გუნდებმა.

ქვეჯგუფებში საკმაოდ დაძაბულად ჩატარდა შეხვედრები მომავალ ფინალისტებს შორის. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ სტუდენტთა თამაშების დებულებით, ფინალში გასულ გუნდებს ეთვლებათ წინასწარ მატჩებში ნაჩვენები შედეგები. უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა კოლექტივების შეხვედრის ბედი მხოლოდ მეხუთე პარტიაში გადაწყდა. გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა — 3:2, ასეთივე ანგარიშით მოიგეს მატჩი ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებთან უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. ფინალში მოგებით გავიდნენ აგრეთვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა და ქალთა კოლექტივები (პირველმა დაამარცხა გორის გუნდი, მეორემ კი თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენები).

□



**მაგიდის ჩოგბურთი.** უკვე დამთავრდა გუნდური პირველობა და დღეს იწყება ასპარეზობა პირად ჩათვლაში. სანამ გამარჯვებული კოლექტივი გამოვლინდებოდა, ჩატარდა ნახევარფინალური შეხვედრები: პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დიდი ანგარიშით (9:2) დაამარცხეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენები, ხოლო უნივერსიტეტელებმა — უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდი — 9:3.

ფინალისტები ერთმანეთს შეხვდნენ გუშინ საღამოს. გამარჯვება ანგარიშით 9:2 და სტუდენტთა საკავშირო თამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა (მწვრთნელი რ. ცაგარელი).

მესამე-მეოთხე ადგილების ბედი გაარკვია უცხო ენათა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენელთა შეხვედრამ. გაიმარჯვეს ბათუმელმა სტუდენტებმა (9:7), რომლებმაც გაინაღდეს III ადგილი.

**გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.**

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ზევით — თბილისის პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრის მომენტი. ქვევით — საფარიკაო ბილიკზე არიან ა. გოგელია და მ. ადეიშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## ყვარელი

„კოლმეურნის“ რაისაბჭომ და კომკავშირის კომიტეტმა ჩაატარეს შეჯიბრება რაიონის პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 8 გუნდი.

კარგად მომზადებული კოლექტივები წარმოადგინეს აფენის, ორჯონიკიძის, შრომის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე ენისლის სახელოსნო სასწავლებელმა. ამ უკანასკნელის ნაკრები გახდა გარდამავალი თასის მფლობელი.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ცალკეულმა მოჭიდავეებმაც. საუკეთესოდ ჩაატარეს ორთაბრძოლები მეზვრიშვილმა, მანველიშვილმა (ორივენი ენისლიდან), ქადაგიშვილმა, ბუზალაძემ და ხარაიშვილმა (ყველანი — შრომიდან).

**გ. გიგინეიშვილი**

## სოფლის სპორტული ქრონიკიდან

## გორი

საშუალო სკოლების 28 ნორჩმა მოჭადრაკემ მონაწილეობა მიიღო საქალაქო პირველობაში. მხოლოდ კოეფიციენტთა ცხრილით გაირკვა ქალაქის ჩემპიონი — ი. ბიბილაშვილი (მე-9 სკოლა), მეორე ადგილი დაიკავა ძორელაშვილმა (1-ლი საშუალო სკოლა).

**ე. მენაბდიშვილი**

## სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივში

აბაშის პირველი საშუალო სკოლის დირექცია და პარტორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, საქმიან დახმარებას უწევენ სკოლაში არსებულ ფიზკულტურულ კოლექტივს, რომელშიც 150-ზე მეტი მოსწავლეა გაერთიანებული.

პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე ხშირად იხილება საკითხები კოლექტივის მუშაობის, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობის შესახებ.

სკოლაში არსებული სპორტული მოედნები მოითხოვდა კეთილმოწყობას. საჭირო იყო სპორტული ინვენტარის შეძენაც. ამ საკითხებზე იმსჯელა პარტორგანიზაციამ და დასახა სათანადო ღონისძიებანი. სკოლის კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. ამჟამად სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, შეძენილ იქნა 400 მანეთის ინვენტარი. საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა სპორტულმა სექციებმა.

ამ დღეებში სკოლის კალათბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ზონალურ პირველობაში.

გასულ წელს ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოამზადა 32 მოსწავლე იმშთ ნიშანზე, ხოლო მშთ I საფეხურზე— 30 მოსწავლე, აგრეთვე 12 მეორეთანრიგოსანი. წარმატებითაა შესრულებული მესამე და მოზარდთა თანრიგის სპორტსმენთა მომზადების გეგმებიც.

**ი. თოფურია**

აბაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალათბურთელთა გადამწყვეტი ტური

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური, რომელმაც უნდა გამოავლინოს ოქროს მედლების მფლობელთა ვინაობა. როგორც სატურნირო ცხრილიდან ჩანს, რიგის კალათბურთელებს თითქმის განაღებული აქვთ პირველი ადგილი. ლიდერის დაწევის თეორიულ შანსებს მხოლოდ ლენინგრადის არმიელთა კოლექტივი ინარჩუნებს, მაგრამ საკმარისია ლატვიელებმა მოიგონ ორი შეხვედრა და ეს შანსებიც გაქრება.

თუ ჩემპიონის საკითხი, ასე თუ ისე, გარკვეულია, დანარჩენ საპრიზო ადგილებზე პრეტენზიას ერთბაშად 6 კოლექტივი აცხადებს: ორი ლენინგრადიდან — სკა და „ბურევესტნიკი", ტაშკენტის „ტექსტილმაში", ტარტუსა და თბილისის სტუდენტთა კოლექტივები და მოსკოვის „სერპ ი მოლოტი".

აღნიშნულ ჯგუფში თბილისელი სტუდენტები 7 ქულით უკანასკნელნი არიან. მაგრამ ჩვენს სპორტსმენებს ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე გასვლის კარგი შანსები აქვთ და აი, რატომ: ჯერ ერთი, — ბოლო ხანებში მათ საგრძნობლად უმატეს თამაშს. თუ პირველი წრის 11 მატჩში გუნდმა მხოლოდ 3 ქულა მოიპოვა, მეორე წრის 5 შეხვედრიდან ოთხი მოიგო; მეორე, — ტრავმის შემდეგ თბილისელთა რიგებში ბოლოსდაბოლოს ჩადგა ცენტრალური თავდამსხმელი ა. რუსკინა, რომლის მაღალი ოსტატობა გუნდს უდავოდ დაეტყო; და მესამე, — გუნდი დასკვნით შეხვედრებს საკუთარ მოედანზე ატარებს, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს (ამასთან, ჩვენმა კალათბურთელებმა უკვე მოისტუმრეს მატჩები რიგისა და ტაშკენტის გუნდებთან).

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა თბილისელთა თამაშზე დადებითი გავლენა უნდა იქონიონ.

## დღეს — სპორტის სასახლეში

### გათამაშების ცხრილი

I—XII ადგილები

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ტტტ რიგა | 16 | 16 | 0 | 16 |
| სკა ლენინგრადი | 16 | 11 | 5 | 11 |
| „ტექსტილმაში" ტაშკენტი | 16 | 10 | 6 | 10 |
| „ბურევესტნიკი" ლენინგრადი | 16 | 9 | 7 | 9 |
| უსპ ტარტუ | 16 | 9 | 7 | 9 |
| სიმ მოსკოვი | 16 | 8 | 8 | 8 |
| სპი თბილისი | 16 | 7 | 9 | 7 |
| „სიბირიაჩკა" ნოვოსიბირსკი | 16 | 6 | 10 | 6 |
| „დინამო" კიევი | 16 | 6 | 10 | 6 |
| „პოლიტექნიკი" კაუნასი | 16 | 6 | 10 | 6 |
| „ურალმაში" სვერდლოვსკი | 16 | 5 | 11 | 5 |
| „სპარტაკი" მოსკოვის ოლქი | 16 | 3 | 13 | 3 |

### კალენდარი

**დღეს.** 13.00. „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი), 14.30. „პოლიტექნიკი" (კაუნასი) — „ტექსტილმაში" (ტაშკენტი), 16.00. „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი) 17.30. სკა (ლენინგრადი) — „დინამო" (კიევი), 19.00. „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — სპი (თბილისი), 20.30. „უნივერსიტეტი" (ტარტუ) — ტტტ (რიგა).

**27 მაისი.** „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი)— „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი), „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „პოლიტექნიკი" (კაუნასი). „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) — „უნივერსიტეტი" (ტარტუ), ტტტ (რიგა) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი), სპი (თბილისი) — სკა (ლენინგრადი), „დინამო" (კიევი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი).



სტარტისკენ... ფოტოეტიუდი ს. მამასახლისისა.

# ფრე გერმანელ ფეხბურთელებთან

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 24 მაისი.
„ტორპედო" (ქუთაისი) — „მოტორი" (ქ. იენა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — 0:0.
„მოტორი": ფრიტცშე — შტრიკსნერი, როკი, პატცერი, ჰერგერტი — ვოიტზაცი, პალიუვკა (ზეიფერტი)—მიულერი, პ. დუკე, კრაუსი, რ. დუკე.
„ტორპედო": კვასხვაძე—ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი, ისიანი (წვერავა) — სიამაშვილი, სირაძე (ბულია) — ჩხარტიშვილი, მელაშვილი, მუმლაძე, ხაჟალია.
მსაჯი ტ. ხურუმი (კრასნოდარი).

მიუხედავად იმისა, რომ მეტოქენი ერთმანეთს არ იცნობდნენ, თამაში დაიწყო ყოველგვარი დაზვერვის გარეშე. სტუმრებმა თავიანთი აქტიური ნახევარმცველების მეწეობით უპირატესობა მოიპოვეს მინდვრის ცენტრალურ ზონაში და მცირე ხანს შემდეგ ისინი მთელ მინდორსაც დაეპატრონენ.

გერმანელმა ფეხბურთელებმა მაყურებლებს უჩვენეს თამაშის მაღალი კლასი. ისინი ოსტატურად ფლობდნენ ბურთს, ზუსტად აწვდიდნენ ერთმანეთს და კარგად თამაშობდნენ თავით. „მოტორს" საუკეთესოდ აქვს დამუშავებული ურთიერთმოქმედება რგოლებს შორის: როგორც კი დაცვითი ხაზის რომელიმე მოთამაშე შეტევაში მონაწილეობის მისაღებად წინ მიდიოდა, მის ადგილს სასწრაფოდ ავსებდა პარტნიორი. თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძმები პ. და რ. დუკები, აგრეთვე მიულერი.

მატჩში ერთხელ კიდევ გამოჩნდა ქუთაისელთა ნაკლოვანებანი. მაგალითად, თუ ფორვარდი მეტოქის მცველებთან შეტაკებისას კარგავდა ბურთს, იგი ფაქტიურად ეთიშებოდა ბრძოლას და საშუალებას აძლევდა მოწინააღმდეგეს შეუფერხებლად წამოეწყო შეტევა. „ტორპედოს" მცველები ხშირად ტოვებდნენ უყურადღებოდ „მოტორის" თავდამსხმელებს და კვასხვაძეს არაერთი ძნელი ბურთის აღება მოუხდა. ასე უმეთვალყუროდ დატოვა ლოსაბერიძემ მე-20 წუთზე რ. დუკე, რომლის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი გაჭირვებით მოიგერია ქუთაისელთა მეკარემ. მცირე ხნის შემდეგ კრაუსმა ბურთი მცირე მანძილით ააცილა კარს.

ტორპედოელთა თამაში შედარებით გამოსწორდა მეორე ტაიმში. ბურთის გატანის ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს მელაშვილმა და ხაჟალიამ, მატჩის დასასრულს კი კვასხვაძემ კვლავ შეძლო რამდენიმე ძნელი ბურთის აღება. 90 წუთს შედეგი არ მოუცია—0:0.

ლ. ფაჩუაშვილი,
(ჩვენი კორ.).

# უკან დარჩა 2.251 კილომეტრი

პრაღა, 25 მაისი. (საკდესი). 2.251 კილომეტრი მოიტოვეს უკან პოლონეთის, გდრ-ის და ჩეხოსლოვაკიის გზებზე მშვიდობის XVII ველორბოლის მონაწილეებმა. 45 ათასი პრაღელი მიესალმებოდა ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ — თავისივე თანამემამულეს იან სმოლიკს და გდრ-ის გუნდს, რომელიც მეხუთედ იქნა ცნობილი უძლიერესად. გერმანელმა ველოსიპედისტებმა დაამყარეს თავისებური რეკორდი— ისინი პირველივე ეტაპიდან ლიდერობდნენ რბოლას.

ველორბოლის დასკვნითი ეტაპი ჩეშსკე-ბუდეიოვიცე—პრაღა (156 კმ) მოიგო ბელგიელმა მ. ქაკემინმა — 3:49.19. მეორე იყო ა. მედიკრდი (უნგრეთი), მესამე — ლ. გულერი (ჩეხოსლოვაკია).

გუნდურ ჩათვლაში ეტაპზე გაიმარჯვეს უნგრელებმა. ჩვენი ველოსიპედისტები მეექვსენი იყვნენ.

საბოლოო ჩათვლაში საბჭოთა გუნდმა ვერ შეძლო მეხუთე ადგილის შენარჩუნება და კვლავ მეექვსეზე გადაინაცვლა. პირად ჩათვლაში ჩვენი სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო ვ. კაპიტონოვი (VII ადგილი).

აი, მშვიდობის XVII ველორბოლის შედეგებიც:

პირადი ჩათვლა: 1. ი. სმოლიკი (ჩეხოსლოვაკია) — 54:49.8, 2. გ. ჰოფმანი (გდრ) — 54:56.53, 3. დ ვიდერმანი (გდრ) — 54:57.03, 4. ი. კუდრა (პოლონეთი)—54:57.37, 5. რ. ზაპალა (პოლონეთი) — 54:57.44, 6. ლ. აპლერი (გდრ) — 54:57.53; საბჭოთა სპორტსმენთაგან — 7. ვ. კაპიტონოვი — 54:58.6, 9. ა. კულიბინი — 54:58.42, 35. ა. ლიუტი — 55:25.15, 43. ა. პავლოვი — 55:54.06, 45. ა. დოხლიაკოვი — 56:07.51 (ჩერეპოვიჩმა მიიღო ტრავმა და უკანასკნელ ეტაპზე გამოეთიშა რბოლას).

გუნდური ჩათვლა: 1. გდრ — 166:46.59, 2. რუმინეთი—166:53.13, 3. პოლონეთი — 166:54.35, 4. ჩეხოსლოვაკია — 166:58.13, 5. უნგრეთი — 167:05.00, 6. სსრ კავშირი 167:07.18.

ეს საბჭოთა გუნდის ყველაზე უფრო უარესი მაჩვენებელია უკანასკნელი წლების შეჯიბრებებზე.

საგულისხმოა, რომ ველორბოლის სათავეში აღმოჩნდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები. სმოლიკი 21 წლისაა და მშვიდობის ველორბოლაში მხოლოდ მეორედ იღებს მონაწილეობას. 24 წლის ჰოფმანი პირველად გამოვიდა ამ შეჯიბრების ტრასაზე. ჩვენი ახალგაზრდა მრბოლები კი (ლიუტი და დოხლიაკოვი) უკანასკნელ ადგილებზე არიან და ჩამორჩნენ როგორც ვეტერანებს, ისე თანატოლებს. მაშასადამე, ვეტერანთა შემცვლელთა თაობის პრობლემა ჩვენთან კი არ მოიხსნა, არამედ კიდევ უფრო გამწვავდა. სსრ კავშირის ველორბოლის ფედერაციამ, ბოლოს და ბოლოს, სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს ამ მარცხიდან.

## დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის დუბლიორთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი).

მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 3:1.

## ფეხბურთი ტელეფონით

სულ ახლახან დამთავრდა მორიგი მატჩი ფეხბურთში. როგორ ითამაშა სხვა ქალაქში ვილნიუსის „ჟალგირისმა"? გუნდის ქომაგების დასახმარებლად მოვიდა ქალაქის სატელეფონო სადგური. გულშემატკივარი აგროვებს ნომერს 9-25 და იგებს თავისი გუნდის მიერ ჩატარებული მატჩის შედეგს.

ასე რომ, ახლა ვილნიუსში ტელეფონით შეიძლება არა მარტო ამინდის პროგნოზისა და ზუსტი დროის, არამედ საფეხბურთო შეხვედრათა შედეგების გაგებაც. (საკდესი).

# სამნი — საქართველოდან



ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეთა სახახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი დიდი ხანია საკავშირო ტურნირში ასე წარმატებით არ გამოსულან. ზონალური პირველობის ბოლო დღეს 20 ფინალისტს შორის ხოლო რაზმაძე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივეს ს. ლომაკინს ნოკაუტით „გაუმასპინძლდა". და აი, პირველობის ღირსეული პრეტენდენტები გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს. თანა-

ნ საქართველოს წარმომადგენელი იყო და მათ შორის სამმა (ვ. ცერცვაძემ, ზ. მაჭავარიანმა და მ. მამამთავრიშვილმა) პირველი ადგილი მოიპოვა. ამ გამარჯვებებმა ჩვენს მოკრივეებს საკავშირო პირველობის ფინალისაკენ გაუხსნა გზა.

სულ ახლოს იყო სასურველ მიზანთან გ. ვარდანიანიც. ფინალში ლვოველ ი. გუევინსკისთან იგი დამაჯერებლად იბრძოდა, მაგრამ მესამე რაუნდის უკანასკნელ წამებზე მოულოდნელად დამარცხდა.

საინტერესოდ წარიმართა ვ. ცერცვაძის და ჯ. ჯ. რაზმაძის ფინალური ბრძოლა. ნახევარფინალში ცერცვაძემ აშკარად მოუგო ჯ. კვანტალიანს, ბარი სიძლიერის მოკრივეთა შერკინებაში ოდნავ შესამჩნევი უპირატესობა ცერცვაძის მხარეს იყო.

ქუთაისელი ოსტატი ზ. მაჭავარიანი ფინალამდე ძნელი გზით მივიდა და სწორედ ამიტომ იყო საპატიო მისი გამარჯვება ერევნელ ვ. ათანესიანთან.

ტურნირში დაწესებული იყო გაზეთ „ლელოს" პრიზი — „ყველაზე ახალგაზრდა და ტექნიკურ მოკრივეს", რომელიც ვილნიუსელ სპორტის ოსტატს ტ. ტომაშევიჩს გადაეცა.

ქვემოთ მოგვყავს გამარჯვებულთა გვარები, რომლებმაც საკავშირო პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: ა. მაგაკიანი (ერევანი), ტ. თომაშევიჩი (ვილნიუსი), ი. გუევინსკი (ლვოვი), ვ. ცერცვაძე (თბილისი), ზ. მაჭავარიანი (ქუთაისი), პ. ხარლამპიდი (ტაშკენტი), ი. მავრიაშინი (მოსკოვი), მ. მამამთავრიშვილი (თბილისი), ვ. ნოვიჩკოვი და ვ. სელეზნიოვი (მოსკოვი).

ე. ქებაძე

* * *

სურათზე: ვ. ცერცვაძე (მარჯვნივ) — ჯ. რაზმაძის შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## რესპუბლიკის ახალი რეკორდი

ტაშკენტში გამართული სსრ კავშირის პირადი პირველობის შერჩევით შეჯიბრებაზე წარმატებით გამოსვლის შემდეგ თბილისელმა ძალოსანმა გ. მიმინოშვილმა (ქვემძიმე წონა) სტუდენტთა თამაშებზე კონკურსგარეშე მიიღო მონაწილეობა და იერიში მიიტანა თავისივე რესპუბლიკურ რეკორდზე, რომელიც უზბეკეთის დედაქალაქში ჰქონდა დამყარებული. ცდა წარმატებით დაგვირგვინდა და საქართველოს რეკორდი აჭიმვაში ამიერიდან 145,5 კგ უდრის, რაც ძველ რეკორდზე ნახევარი კილოგრამით მძიმეა.

## ახალი წიგნები

თ. ხანებლიძე. „ნებისმიერი ვარჯიშები სპორტულ ტანვარჯიშში".
წიგნი მეთოდური სახელმძღვანელოა ტანვარჯიშის ყველა სახეობისთვის და განკუთვნილია ფიზკულტურული სექციებისათვის.
ტირაჟი — 1.000 ცალი, ფასი — 6 კაპ.

ა. ფალავანდიშვილი. „ქართველი სპორტსმენების საერთაშორისო შეხვედრები".
ტირაჟი — 10.000 ცალი, ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძვირფასი საჩუქრები

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დიდი ზეიმით გადაიხადეს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე. სადღესასწაულოდ მორთული შეეგება პიონერთა სასახლე მათთან სტუმრად მოსულ ავიატორებს, რომლებმაც ამ ძვირფას თარიღთან დაკავშირებით თბილისელ პიონერებს საჩუქრად გადასცეს სხვადასხვა თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო.

ამ სურათზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა იშვიათი საჩუქრით გახარებული პიონერები ცის შევარდნებს შემოხვევიან. სტუმრებმა პიონერებს მოუთხრეს საბჭოთა მფრინავების ცხოვრებისა და მათი სასახელო საბრძოლო ამბების შესახებ.

ფოტო ა. პაპაიანისა.



# ბ. ლარსენი—4,5 ქულა

24 მაისს ამსტერდამის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა IV ტური.

ხანგრძლივი მანევრული თამაშის შემდეგ 31-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა საბჭოთა დიდოსტატების ვ. სმისლოვისა და დ. ბრონშტეინის პარტია. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული (35-ე სვლაზე) საბჭოთა დიდოსტატთა მეორე წყვილის — ბ. სპასკი — მ. ტალის პარტიაშიც. აღსანიშნავია, რომ ეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მეოთხე ყაიმია.

წარუმატებლობა განიცადა სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. შტეინმა. იგი შავებით ეთამაშებოდა უნგრელ ლ. პორტიშს. ძველინდურ დაცვაში შტეინმა დებიუტით პერსპექტიული თამაში მიიღო, მაგრამ შემდეგ შეცდომები დაუშვა, მოჰყვა მეტოქის ძლიერ იერიშში, დაკარგა ორი პაიკი და იძულებული გახდა 38-ე სვლაზე დანებებოდა მოწინააღმდეგეს.

დანარჩენ შეხვედრებში ფიქსირებულ იქნა შემდეგი შედეგები: ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია) დაამარცხა ო. კვინონესი (პერუ), ლ. პახმანმა (ჩეხოსლოვაკია) — გ. ტრინგოვი (ბულგარეთი), ლ. ევანსმა (აშშ) — ი. ბილეკი (უნგრეთი), ბ. ლარსენმა (დანია) — ხ. პორატი (ისრაელი), გ. როსეკომ (არგენტინა) — ფ. პერესი (კუბა), ვ. ვრანეშიჩმა (კანადა) — ბ. ბერგერი (ავსტრალია).

ა. ფოგელმან (არგენტინა) — კ. დარგასა (გფრ) და კ. ბენკო (აშშ)— ბ. ივკოვის (იუგოსლავია) პარტიები ყაიმით დამთავრდა. საზავო გადაწყვეტილება მიიღეს აგრეთვე პარტიის გადადების შემდეგ ლ. ლენდიელმა (უნგრეთი) და ს. რეშევსკიმ (აშშ).

• • •

## უკანასკნელ საათს

**ამსტერდამი.** საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირზე გუშინ გაიმართა V ტური. ლარსენმა მოუგო პერესს, ივკოვმა — ბერგერს. პარტიები ტალი — სმისლოვი, შტეინი — სპასკი, ბრონშტეინი — პახმანი დამთავრდა ყაიმით. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ წინაა დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი, რომელსაც 4,5 ქულა აქვს.

## ე. ავერკოვიჩი— ჩემპიონი

ტაშკენტში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. რუსეთის ფედერაციის ტანმოვარჯიშეთა გუნდმა 394,975 ქულა დააგროვა და 14 ქულაზე მეტით გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ ლენინგრადელებს. მესამე ადგილზე დარჩნენ უკრაინელები. წარუმატებლად გამოვიდნენ ქართველი ტანმოვარჯიშეები, რომელნიც გუნდურ ჩათვლაში მე-9 ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ე. ავერკოვიჩმა — 57,35 ქულა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც მის თანაგუნდელებს — გროზნოელ ვ. სმოტრინასა (57,2) და სვერდლოვსკელ ლ. ნაზმუტდინოვას (56,85) ხვდათ წილად.

# სპორტული ცხოვრების ამბები

## თასის ფინალი

27 მაისს გაიმართება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი. ავსტრიელი მსაჯი ი. შტოლი ვენის „პრატერ-შტადიონზე" გამოუხმობს გადამწყვეტი შეხვედრის მონაწილეებს — „რეალ-მადრიდსა" (ესპანეთი) და „ინტერნაციონალეს" (იტალია).

ესაა ამ პოპულარული შეჯიბრების IX გათამაშება. „რეალი" ამ ხნის განმავლობაში ექვსჯერ მონაწილეობდა ფინალში და ხუთჯერ მოიგო თასი. რაც შეეხება იტალიის ჩემპიონს, იგი პირველად გამოდის აღნიშნულ ტურნირში და, როგორც ხედავთ, თავისი დებიუტი ფინალამდე მიიყვანა.

ფინალს წინ უსწრებდა პროფესიული ფეხბურთისათვის დამახასიათებელი კინკლაობა. „რეალის" ხელმძღვანელობამ უეფა-ს მოთხოვა მატჩის წინ მოეწყოს „ინტერნაციონალეს" მოთამაშეთა სამედიცინო შემოწმება, ვინაიდან ცნობილია, რომ იტალიელები ხშირად მიმართავენ ხოლმე აღმგზნებ საშუალებას — დოპინგს. „ინტერნაციონალეს" მწვრთნელმა ე. ერერამ მისი მოწინააღმდეგე კოლეგის — მუნოზის ეს განცხადება დიდ შეურაცხყოფად მიიღო და ავტორიტეტულად დაარწმუნა პრესის წარმომადგენლები, რომ მას გარანტირებულად მიაჩნია ფინალის მოგება. ასეთივე განცხადება გააკეთა ადრე მუნოზმა. ასე რომ, გადამწყვეტ მატჩს წინ უსწრებდა თავისებური „ცივი ომი" მწვრთნელებს შორის.

მოწინააღმდეგეებმა ფინალამდე ძნელი გზა განვლეს. „ინტერნაციონალემ" გათამაშებიდან გამოიყვანა ინგლისის ჩემპიონი „ევერტონი", „მონაკო" (საფრანგეთი) და „ბორუსია" (გფრ), ხოლო „რეალმა" — შოტლანდიის ჩემპიონი „გლაზგო-რეინჯერსი", თასის ადრინდელი მფლობელი „მილანი" (იტალია) და „ციურიხი" (შვეიცარია).

ფინალისტთა ჩვეული საბრძოლო შემადგენლობები ასეთია: „ინტერნაციონალე"— სარტი — ბურგნიჩი, გვარნერი, ფაკეტი, ტანინი — პიკი (ან შიმანიაკი), ჟაირი — მაცოლა, მილანი, სუარესი, კორსო. „რეალი" — ვისენტე — ისიდრო, სან[...] ტამარია, პაჩინი, მიულ[...] რი — ზოკო, ამანსიო — რუიზი, დი სტეფანო, პუ[...] შკაში, ჰენტო.

უცხოეთის პრესა აღნ[...] შნავს იტალიელთა დ[...] ვის სტაბილურ, შეუპ[...] ვარ თამაშს, რომლის მ[...] თაურია გვარნერი. თ[...] დასხმას ხელმძღვანელ[...] ბენ სუარესი და ჟაირ[...] „რეალში" გამოირჩევ[...] საუცხოო ნახევარმცვ[...] ლები მიულერი და ზოკ[...] ხოლო თავდასხმაში — დი სტეფანო და ამა[...] სიო, რომელსაც მაღალ[...] ტექნიკისა და სისწრაფ[...] გამო „მეორე გარინჩა[...]" უწოდებენ.

ორივე კლუბის გამ[...] ობამ დიდი ფულად[...] ჯილდო აღუთქვა თავის[...] ფეხბურთელებს ფინალ[...] მოგების შემთხვევაში.

## ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ



ეს სამი ადამიანი დღეს ქართული სპორტის ღვაწლმოსილ ვეტერანთა რიგებშია. მაგრამ დრო, როდესაც ფოტოსურათია გადაღებული, მათი შემდგომი, შესანიშნავი გამარჯვებებით აღსავსე სპორტული გზის თითქმის დასაწყისს მიეკუთვნება.

ალექსანდრე ჯორჯაძე, გიორგი ბაბილოძე და კოტე ზაალიშვილი — ამიერკავკასიის ფედერაციის ნაკრები გუნდის წევრები — საბჭოთა კავშირის 1933 წლის პირველობაზე სპორტულ ტანვარჯიშში. ამ სურათზე აღბეჭდილი არ არის გუნდის ლიდერი — გულო (გიორგი) რცხილაძე, რომელმაც აღნიშნულ შეჯიბრებაზე მძაფრ და საინტერესო ბრძოლაში ძლია მოსკოვის გუნდის წარმომადგენელი ვლადიმერ დიაჩკოვი და გახდა ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი. გ. ბაბილოძემ მაშინ მეოთხე ადგილი მოიპოვა.

მაგრამ გ. ბაბილოძეც, სურათზე აღბეჭდილ ორივე ჭაბუკთან ერთად, მაინც გახდა იმავე წლის ჩემპიონი! საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიის ნაკრებმა ამ ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა და საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდის ტიტულიც დაისაკუთრა. ჩემპიონი გუნდის შემადგენლობაში, ზემოაღნიშნულთა გარდა, შედიოდნენ თბილისელი ლევან ყანჩაველი და ბაქოელები — ძმები ნუგზარ და გაიოზ კოპლატაძეები, აგრეთვე ალექსანდრე ჰუსეინოვი.

## სხვადასხვა მერიდიანზე

**კასაბლანკა.** გამოვლინდა ტოკიოს ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე. მაროკოს ფეხბურთელებმა გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს ეთიოპიის ნაკრებს — 1:0.

**მოდესტო.** (კალიფორნიის შტატი). ახლოვდება ტოკიოს ოლიმპიური თამაშები და მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები სულ უფრო და უფრო უკეთეს შედეგებს აჩვენებენ.

კალიფორნიის ქალაქ მოდესტოში ამერიკელმა მძლეოსანმა რ. ბოსტონმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა საუცხოო შედეგი — 8 მ 29 სმ. რ. ბოსტონს საბჭოთა მძლეოსან ი. ტერ-ოვანესიანის მსოფლიო რეკორდამდე მხოლოდ 2 სმ დარჩა.

**ჰამბურგი.** აქ გამართულ შეჯიბრებაზე გფრ-ს სპრინტერთა კვარტეტმა (ი. შუტლერი, პ. ჰამპერი, პ. ენდერლეინი, ფ. როდერფელდი) ამანათრბენში 4×100 მ აჩვენა 39,8 წამი. ეს მსოფლიოში საუკეთესო შედეგია მიმდინარე სეზონში.

**ლაიფციგი.** კ. ბალცერმა (გდრ) 80 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 10,5 წამი, რაც მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. ამრიგად, ბალცერი გახდა ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის მესამე მფლობელი. მანამდე ასეთი შედეგი უჩვენეს გ. ბირკემაიერმა (გდრ) და ინგლისელმა ბ. მურმა.

## ტრაგედია პერუში

### დაიღუპა 350 კაცი

პერუს დედაქალაქ ლიმაში ფეხბურთის მატჩის დროს, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს სტადიონზე მიმდინარეობდა, სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა.

მინდორზე ერთმანეთს ხვდებოდნენ პერუსა და არგენტინის ნაკრები გუნდები. აურზაური იმის გამო დაიწყო, რომ საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე მსაჯმა არ ჩათვალა პერუელთა მიერ მეტოქის კარში გატანილი ბურთი. ამ დროისათვის არგენტინელები მატჩს იგებდნენ — 1:0.

პერუელი ფეხბურთელები არც თუ ისე აღუშფოთებია მსაჯის ამგვარ გადაწყვეტილებას, მაგრამ მაყურებლები... მათ დაიწყეს საშინელი ღრიანცელი და ბოთლების სროლა მინდორზე. მსაჯმა 85-ე წუთზე შეწყვიტა თამაში და პოლიციელთა დახმარებით მიიმალა; ასევე მოიქცნენ ორივე გუნდის ფეხბურთელებიც.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. გამძვინვარებულმა მაყურებლებმა გაარღვიეს მავთულხლართები და მინდორზე გაცვივდნენ. პოლიციამ ცრემლსადენი გაზითა და ძაღლებით სცადა ვნებააშლილი ბრბოს დაშოშმინება. ატყდა პანიკა. ხალხი გასასვლელებს მიაწყდა, მაგრამ ისინი დაკეტილი აღმოჩნდა. აუწერელი პანიკის ვითარებაში ადამიანები ერთმანეთს ფეხქვეშ თელავდნენ, რათა როგორმე გარეთ გაეღწიათ. შედეგი საშინელია — 350 დაღუპული და ასობით დაჭ[...] რილი.

პერუს პრეზიდენტმა გამოაცხა[...] 30-დღიანი საკონსტიტუციო გარან[...] ტიის ჩამორთმევა, რათა გამოიძი[...] ეს საშინელი უბედურება. ეს [...] ობამ დიდი ფულადი [...] აქვს დაკითხოს ნებისმიერი მოქალა[...] ქე, გაჩხრიკოს ყოველი ბინა.

სასტუმროს, რომელშიც არგენ[...] ტინელი ფეხბურთელები ცხოვრო[...] ბენ, პოლიციის გაძლიერებული ეს[...] კორტი დარაჯობს. პრეზიდენტ[...] მიმართა ხალხს, რომ არ აყვნენ ბო[...] როტმოქმედ ელემენტებს და დაიც[...] ვან სრული სიმშვიდე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„დინამოს" სტადიონი
ხვალ
საერთაშორისო შეხვედრა
ფეხბურთში
„დინამო" (თბილისი) —
„მოტორი" (გდრ, ქ. იენა)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.

 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05951